ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2335624

ნომერი: AR1354931

თარიღი : 06.11.2015

გაცემის თარიღი : 09.12.2015

გაცნობის თარიღი : 01.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჟამურელი პ/ნ 59001093835
- გორი ს. ზერტი

ორგანიზაცია:
- გეოკომპლექსი კოდი: 405016664

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1601495
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.11.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან თქვენს მიერ არ იქნა სამსახურის №2292400 გადაწყვეტილებით მითითებული ყველა მოთხოვნა შესრულებული და მითითებული ხარვეზი გამოსწორებული კერძოდ : არ არის წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 01 აპრილს ბ-12/15082694-16 დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების ჩანაწერის ცვლილების შეტანის ბრძანება (დამატებით ფაილის მიმაგრება ველში ატვირთულია იგივე ბრძანება აღნიშნულის თაობაზეც ინფორმაცია გეცნობათ № 1886841 და №2287585 გადაწყვეტილებით).
სამსახურის მიერ №2287585 გადაწყვეტილებით მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 05 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.